

## ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

### ოქმი #7

ქ. ონი

11. 07. 2019 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე შუქურა ჯაფარიძე.

**საკრებულოს 33 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 28 წევრი:** შუქურა ჯაფარიძე, ბაჩანა მარკოიშვილი, ვასილ მეტრეველი, ჯონი ბურდილაძე, ვასილ მაისურაძე, სონია გუგეშაშვილი, გოჩა მეტრეველი, გივი მეტრეველი, ვლადიმერ ჩლაიძე, ვლადიმერ ბერელიძე, გიორგი მეტრეველი, მამია ყავლაშვილი, ანა ბაქრაძე, გელა მეტრეველი, ნოდარ ბურდილაძე, ბექარი მაისურაძე, ვანო ბადაშვილი, გიორგი მარკოიშვილი, დავით სხირტლაძე, გიორგი მაისურაძე, ჭაბუკა კერვალიშვილი, დავით მეტრეველი, ბესიკი მაისურაძე, ალექსანდრე ბერიშვილი, როზა ჩალაძე, გიორგი სულაძე, სერგო ლობჯანიძე, აველი ორდინიძე.

**არ ესწრებოდა 5 წევრი:** ღვთისაგარ ბაკურაძე, შორენა რეხვიაშვილი, ირმა სტეფნაძე-იაშვილი, კესო ჩარკვიანი, დიმიტრი გოშაძე.

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე დიმიტრი საყვარელიძე, საფინანსო სამსახურის უფროსი ვალერიან გობეჯიშვილი, ონის სატყეო უბნის უფროსი ლევან ტყემელაშვილი.

საკრებულოს სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. ონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: დ. საყვარელიძე-მერის პირველი მოადგილე

2. „2019 წელს ონის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების მოწონების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 21 მარტის # 11 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: დ. საყვარელიძე-მერის პირველი მოადგილე

3. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში 2018 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი: შ. ჯაფარიძე-საკრებულოს თავმჯდომარე

4. ინფორმაცია 2019 წლის ექვს თვეში სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ.

მომხსენებელი: სერგო ლობჯანიძე-საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე

5. ინფორმაცია მუნიციპალიტეტში სამშენ და სამასალე მერქნით მოსახლეობის უზრუნველყოფისა და ტყეკაფებში მისასვლელი საავტომობილო გზების მდგომარეობის შესახებ.

მომხსენებელი: ვ. ბაღაშვილი-გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი-არცერთი

დამტკიცდა დღის წესრიგი

**მოისმინეს: 1.** ონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: დ. საყვარელიძე-მერის პირველი მოადგილე

მომხსენებელმა სხდომას წარუდგინა დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

**გადაწყდა:** დამტკიცდეს წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

**მოისმინეს: 2.** „2019 წელს ონის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების მოწონების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 21 მარტის # 11 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: დ. საყვარელიძე-მერის პირველი მოადგილე

მომხსენებელმა სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 21 მარტის # 11 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

**გადაწყდა:** დამტკიცდეს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**მოისმინეს: 3.** ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში 2018 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი: შ. ჯაფარიძე-საკრებულოს თავმჯდომარე

საკრებულოს თავმჯდომარემ სხდომას გააცნო ანგარიში 2018 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

**გადაწყდა:** წარმოდგენილი ანგარიში შეფასდა დადებითად..

**მოისმინეს: 4.** ინფორმაცია 2019 წლის ექვს თვეში სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ.

მომხსენებელი: სერგო ლობჯანიძე-საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო ინფორმაცია 2019 წლის ექვს თვეში სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ.

**ცნობად იქნა მიღებული წარმოდგენილი ინფორმაცია.**

**მოისმინეს: 5.** ინფორმაცია მუნიციპალიტეტში საშემე და სამასალე მერქნით მოსახლეობის უზრუნველყოფისა და ტყეკაფებში მისასვლელი საავტომობილო გზების მდგომარეობის შესახებ.

მომხსენებელი: ვ. ბაღაშვილი-გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე.

ვ. ბაღაშვილმა სხდომას წარუდგინა ინფორმაცია მუნიციპალიტეტში საშემე და სამასალე მერქნით მოსახლეობის უზრუნველყოფისა და ტყეკაფებში მისასვლელი საავტომობილო გზების მდგომარეობის შესახებ. ს. ლობჯანიძემ აღნიშნა, რომ სოფ. დებში გამოყოფილ ტყეკაფებამდე მისასვლელი გზა არაა და გლეხისთვის ამ ეტაპზე შეუძლებელია მობეჭდილი ტყეკაფით სარგებლობა. დ. მეტრეველის თქმით, იგივე პრობლემაა სოფ. გომსა და ჯინჭვისშიც.

ვ. მაისურაძემ ისაუბრა ტყით სარგებლობის კოდექსთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ეს კოდექსი არ პასუხობს ტყესთან დაკავშირებულ პრობლემებს. მის მოთხოვნებში ჩაკეტივით მოსახლეობისთვის რაიმე სასარგებლოს გაკეთება შეუძლებელია. გლეს უნდა შეეძლოს ტყით სარგებლობა აუცილებელი საყოფაცხოვრებო საჭიროებისთვის. მდგომარეობის გამოსასწორებლად, საჭიროა, წერილობით მივმართოთ შესაბამის ორგანოებს.

შ. ჯაფარიძის კითხვაზე საჩხერე-ონის გზის მშენებლობისას მოჭრილ ხეებთან დაკავშირებით, ლ. ტყეშელაშვილმა უპასუხა, რომ აღნიშნული ხეებით ზამთრისთვის მარაგდება სკოლები და სხვ. საბიუჯეტო ორგანიზაციები, ასევე, საკრებულოს წევრებს განუმარტა, რომ გამხმარი, ნახანძრალი ხეების გამოტანა ტყიდან ნებადართულია სატყეო უბანში ნებართვის აღების შემთხვევაში.

### **ცნობად იქნა მიღებული წარმოდგენილი ინფორმაცია.**

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ საკრებულოს წევრებმა იმსჯელეს სხვადასხვა საკითხებზე.

რ. ჩალაძემ აღნიშნა, რომ ავარიულია სოფლის ამბულატორიის შენობა სოფ. ნაკიეთში, სოფლის ექიმი პაციენტებს გარეთ იღებს, აუცილებელია ამ პრობლემის მოგვარება. ალ კერვალიშვილმა განაცხადა, რომ ქვემო სორში, მეტრეველების უბანში დაზიანებულია შიდა საუბნო გზა და საჭიროა გზის საყრდენი კედლის ამოშენება, ასევე კერვალიშვილების უბანში საჭიროა გაიწმინდოს და მოეწყოს სანიაღვრე არხი, რომელიც საფრთხეს უქმნის რამდენიმე ოჯახს, რაზეც დ. საყვარელიძემ განაცხადა, რომ აღნიშნული პრობლემის დროულად მოგვარებას პირადად გააკონტროლებს. ს. გუგეშაშვილმა აღნიშნა, რომ ბავშვები, რომლებიც სხვადასხვა წრეებზე დადიან, არიან მათთვის შუფერებელ და შეუსაბამო გარემოში, საჭიროა მუშაობა ამ კუთხით. ვ. მეტრეველმა განაცხადა, რომ საკრებულოს სხდომები ტარდება არასტანდარტულ გარემოში, რაც რეგლამენტის დარღვევაა, აუცილებელია საჭირო სივრცის მოწყობა. ვ. მაისურაძემ აღნიშნა, რომ მიზანშეწონილი იქნება, ჩვენი ღვაწლმოსილი თანამოქალაქის, შალვა ჯაფარიძის სალის ჭიშკარზე გაკეთდეს საინფორმაციო დაფა.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

### **შუქურა ჯაფარიძე**

საკრებულოს თავმჯდომარე

